შპს „ბრავო 2008“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	5	5,439,917	5,305,076
თვითღირებულება	6	(4,696,194)	(4,531,268)
საერთო მოგება		**743,723**	**773,808**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(319,475)	(383,768)
საოპერაციო მოგება		**424,248**	**390,040**
წმინდა ფინანსური ხარჯი	8	(76,801)	(17,904)
წმინდა სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	9	14,692	47,095
საეჭვო ვალების ხარჯი	12	-	(79,553)
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ხარჯი	10	-	(7,400)
წმინდა საკურსო სხვაობა		-	(411)
მოგება დაბეგვრამდე		**362,139**	**331,867**
მოგების გადასახადი		-	(66,273)
წმინდა მოგება		**362,139**	**265,594**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**362,139**	**265,594**

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2021 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ერეკლე ბუჩუკური	ირინა ივანიძე
დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

9 – 22 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანასური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	**10**	1,675,051	1,835,670
		1,675,051	**1,835,670**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	**11**	72,759	90,163
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**12**	375,563	195,966
ფული და ფულის ექვივალენტები	**13**	146,583	262,198
		594,905	**548,327**
სულ აქტივები		**2,269,956**	**2,383,997**
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	**14**	561,283	704,613
		561,283	**704,613**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**15**	171,210	65,424
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	**14**	93,298	99,692
		264,508	**165,116**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	**1**	200	200
გაუნაწილებელი მოგება		1,443,965	1,514,068
		1,444,165	**1,514,268**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**2,269,956**	**2,383,997**

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2021 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ერეკლე ბუჩუკური	ირინა ივანიძე
დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

9 – 22 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანასური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	6,243,770	6,520,110
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(4,706,434)	(4,239,453)
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახრები	(539,401)	(675,690)
გადახდილი გადასახადები	(485,627)	(592,568)
გადახდილი პროცენტი	(81,273)	(17,669)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**431,035**	**994,730**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(53,087)	(408,214)
სადაზღვევო კომპანიისგან ანაზღაურებული ზარალი	690	46,107
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(52,397)**	**(362,107)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
დივიდენდის გადახდა	(349,000)	(1,356,000)
სესხის მიღება	-	860,000
სესხის დაფარვა	(149,386)	(152,161)
მიღებული პროცენტი	4,133	2,225
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	**(494,253)**	**(645,936)**
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა	**(115,615)**	**(13,313)**
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	**262,198**	**275,922**
ფულადი სახსრების სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	-	(411)
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	**146,583**	**262,198**

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2021 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ერეკლე ბუჩუკური	ირინა ივანიძე
დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

9 – 22 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანასური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ბრავო 2008“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	სულ
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**200**	**2,676,406**	**2,676,606**
სრული შემოსავალი	-	265,594	**265,594**
დივიდენდი	-	(1,427,932)	**(1,427,932)**
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**200**	**1,514,068**	**1,514,268**
სრული შემოსავალი	-	362,139	**362,139**
დივიდენდი	-	(432,242)	**(432,242)**
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**200**	**1,443,965**	**1,444,165**

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2021 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ერეკლე ბუჩუკური	ირინა ივანიძე
დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

9 – 22 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანასური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბრავო 2008“ დაფუძნდა 2007 წლის 12 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ის დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო კოდით: 204544895, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, სოფ. დიღომი.

კომპანიის მფლობელები წარმოდგენილნი არიან შემდეგნაირად:

	2020	2019
დავით დაბრუნდაშვილი	40.0%	40.0%
ირაკლი ბაზაძე	33.3%	33.3%
დავით მეშველაშვილი	26.7%	26.7%
	100%	**100%**

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბეტონის წარმოება და მიწოდება, ასევე მომსახურების გაწევა, კერძოდ ბეტონის ტრანსპორტირება და ჩასხმა სპეც-ტექნიკის საშუალებით. კომპანიის მფლობელობაშია ერთი ბეტონის საწარმო შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლ. ანდრონიკაშვილის I შესახვევი № 9.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

კომპანიის მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, სამშენებლო და სამშენებლო მასალების წარმოების ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება (იხილეთ შენიშვნა 18) და შედეგად, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან

კომპანია ახდენს სამშენებლო მასალების: ბეტონის, ქვიშისა და ღორღის რეალიზაციას მომხმარებლებზე, ასევე სამშენებლო მასალების ტრანსპორტირების და სპეცტექნიკით მომსახურებას. აღნიშული პროდუქციის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან შესასრულებელი ვალდებულება სრულდება დროის იმ მომენტში, როდესაც აქტივზე კონტროლი გადადის მომხმარებელზე, ზოგადად მიწოდების დროს და იმავე პერიოდში აღიარებს შემოსავალს.

თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საეჭვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. სხვა შემოსავალი, შესაბამის ხარჯებთან დანეტებული ფორმით, აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც ის წარმოიქმნა.

ხარჯების აღიარება

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯი აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასებისა და ბონუსების აღრიცხვა

ხელფასების, პრემიებისა და ბონუსების დარიცხვა ხდება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

აღიარების თარიღი

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

სავაჭრო მოთხოვნები

ეს აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის დროს. მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯებით, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, კონტრაგენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები, გადახდების დაგვიანება და ა.შ.), რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა მოთხოვნის ამოღებას კონტრაგენტებისგან. ასეთი რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება უნდა შემცირდეს შესაბამისი რეზერვით.

ფინანსური ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას ახდენს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

კომპანია არ ფლობს ფინანსურ ვალდებულებებებს კლასიფიცირებულს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიღებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

მიღებული სესხები

მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯები რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შეძენას, აშენებას ან წარმოებას, რასაც აუცილებლად სჭირდება დროის დიდი პერიოდი, რათა მზად იყოს თავისი ფუნქციური გამოყენებისათვის ან გაყიდვისათვის, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის ღირებულების ნაწილი. ყველა სხვა სასესხო ხარჯები ჩაითვლება ხარჯებში იმ პერიოდისათვის, როდესაც ისინი ხორციელდება. სასესხო ხარჯები შედგება სარგებლისა და სხვა ხარჯებისგან, რასაც პირი გასწევს თანხების სესხებასთან დაკავშირებით. კომპანიას მიღებული სესხები აქვს ფინანსური ინსტიტუტებიდან ძირითადი საქმიანობების დასაფინანსებლად. დამატებითი დეტალები მიღებული სესხების შესახებ განხილულია 16-ე შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

თვითღირებულება განისზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალსიწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზრიდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით. ცვეთის დათვლისთვის გამოყენებული იყო შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები და ნაგებობები	10 - 26
ქარხანა	20
მანქანა-დანადგარები და ხელსაწყოები	5 - 20
სატრანსპორტო საშუალებები	5 - 20
ოფისის აღჭურვილობა	5 - 13

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. ცვეთა არ წყდება, როდესაც აქტივი გადადის მოცდენის რეჟიმში ან აღარ გამოიყენება აქტიურად, თუ აქტივი მთლიანად არ არის გაცვეთილი.

სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს, ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულად.

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

* აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
* აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმვალობაში;
* აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
* აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გმოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორ გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

* მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმვალობაში;
* ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
* უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში;ან
* საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის და მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. ჩასათვლელი დღგ ზოგადად ამოღებადია გამომსვლელი დღგ-ს მიმართ დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას.საგადასახადო ორგანოები დღგ-ს გადახდის ნებას რთავენწმინდა საფუძველზე. ყიდვაგაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღგ-ს ჩათვლით.

მოგების გადასახადი

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასხადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა,საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვისდივიდენდის გადახდის მომენტში.რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდემიღებული მოგებიდანგადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდსთვის, გამრვლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახდს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდიენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა,გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივებისან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები,ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საქართველოს საგასასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღაირებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები იცვითება/ ამორტიზდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაშია აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

5. შემოსავალი

შემოსავალი 2020 და 2019 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ბეტონის რეალიზაციდან	4,956,420	4,573,932
მომსახურების გაწევიდან	483,497	731,144
სულ შემოსავალი	**5,439,917**	**5,305,076**

6. თვითღირებულება

თვითღირებულება 2020 და 2019 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ნედლეული და მასალები	(3,352,583)	(2,981,603)
შრომის ანაზღაურება	(418,818)	(518,244)
საწვავი	(352,648)	(463,352)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(301,824)	(316,014)
ცვეთა და ამორტიზაცია	(228,406)	(221,920)
კომუნალური	(17,509)	(17,110)
სხვა	(24,406)	(13,025)
სულ თვითღირებულება	**(4,696,194)**	**(4,531,268)**

შემოსავლებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ბეტონის რეალიზაცია	(4,073,677)	(3,581,086)
სპეცტექნიკით მომსახურება	(622,517)	(950,182)
სულ თვითღირებულება	**(4,696,194)**	**(4,531,268)**

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2020 და 2019 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ხელფასის ხარჯი	(266,768)	(305,485)
დაზღვევის ხარჯი	(23,145)	(26,556)
საგადასახადო ხარჯი	(11,186)	(27,296)
ცვეთის ხარჯი	(4,010)	(3,772)
კომუნიკაციის ხარჯი	(3,523)	(2,897)
ოფისის ხარჯი	(2,971)	(3,970)
რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯი	(668)	(3,464)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(531)	(1,024)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურების ხარჯი	(250)	(7,009)
სხვა ხარჯი	(6,423)	(2,295)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**(319,475)**	**(383,768)**

8. წმინდა ფინანსური ხარჯი

წმინდა ფინანსური ხარჯი 2020 და 2019 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი		
მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული	4,134	2,225
საპროცენტო ხარჯი		
მიღებული სესხებიდან	(80,935)	(20,129)
სულ წმინდა ფინანსური ხარჯი	**(76,801)**	**(17,904)**

9. წმინდა სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

წმინდა სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი 2020 და 2019 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ზარალის ანაზღაურება*	690	47,633
წმინდა შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	14,645	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	1,738
ჯარიმა	-	(560)
საქველმოქმედო ხარჯი	-	(385)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(643)	(1,331)
სულ წმინდა სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	**14,692**	**47,095**

*2019 წელს კომპანიის კუთვნილი სატვირთო ავტომობილი დაზიანდა შესაბამისად მოხდა სადაზღვევოს მხრიდან ზარალის ანაზღაურება 46,107 ლარის ოდენობით.

10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები და ნაგებობები	ქარხანა	მანქანა-დანადგარები და ხელსაწყოები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	არამატერიალური აქტივი	სულ
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**544,099**	**52,273**	**87,795**	**721,346**	**1,665,952**	**16,349**	**539**	**3,088,353**
შემოსვლა	-	2,145	-	4,179	140,994	3,584	-	**150,902**
რეკლასიფიკაცია გასაყიდად გამიზნულ აქტივებში*	-	-	-	-	(10,181)	-	-	**(10,181)**
გაუფასურება*	-	-	-	-	(46,876)	-	-	**(46,876)**
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**544,099**	**54,418**	**87,795**	**725,525**	**1,749,889**	**19,933**	**539**	**3,182,198**
შემოსვლა	-	-	-	991	77,093	1,803	932	**80,819**
გასვლა	-	-	-	-	(68,694)	-	-	**(68,694)**
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**544,099**	**54,418**	**87,795**	**726,516**	**1,758,288**	**21,736**	**1,471**	**3,194,323**
დაგროვილი ცვეთა								
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**-**	**(12,896)**	**(78,616)**	**(323,228)**	**(737,607)**	**(7,520)**	**(444)**	**(1,160,311)**
ცვეთა	-	(2,202)	(400)	(63,638)	(157,757)	(1,679)	(17)	**(225,693)**
გაუფასურებულის დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	39,476	-	-	**39,476**
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**-**	**(15,098)**	**(79,016)**	**(386,866)**	**(855,888)**	**(9,199)**	**(461)**	**(1,346,528)**
ცვეთა	-	(2,214)	-	(56,354)	(171,835)	(2,013)	(17)	**(232,433)**
გავლის დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	59,689	-	-	**59,689**
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**-**	**(17,312)**	**(79,016)**	**(443,220)**	**(968,034)**	**(11,212)**	**(478)**	**(1,519,272)**
წმინდა საბალანსო ღირებულება								
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**544,099**	**39,377**	**9,179**	**398,118**	**928,345**	**8,829**	**95**	**1,928,042**
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**544,099**	**39,320**	**8,779**	**338,659**	**894,001**	**10,734**	**78**	**1,835,670**
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**544,099**	**37,106**	**8,779**	**283,296**	**790,254**	**10,524**	**993**	**1,675,051**

11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

* 2019 წლის აგვისტოში დაზიანდა კომპანიის კუთვნილი სატვირთო ავტომობილი, სადაზღვევო კომპანიამ აღნიშნული აქტივი შეაფასა 10,181 ლარად, რომლის ისტორიული ღირებულებაც იყო 57,058 ლარი ხოლო შეფასების შედეგად გაუფასურებამ შეადგინა 46,876. შესაბამისად, გაუქმდა აღნიშნული აქტივის დაგროვილი ცვეთა 39,476 ლარი, ხოლო სხვაობა დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის (7,400 ლარი) აღიარდა, როგორც ძირითადი საშუალებების გაუფასურების ხარჯი მოგება-ზარალში. დარჩენილი საბალანსო ღირებულება 10,181 ლარი რეკლასიფიცირდა მარაგებში, როგორც ჯართი (იხილეთ შენიშვნა 12).

** 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხი უზრუნველყოფილია მიწის ნაკვეთებით, რომელთა საბალანსო ღირებულება შეადგენს 340,505 ლარს.

11. მარაგები

მარაგები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნედლეული და მასალები	55,893	61,495
საწვავი	16,866	18,487
ჯართი	-	10,181
სულ მარაგები	**72,759**	**90,163**

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	436,720	254,832
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ(შენიშვნა 18)	-	1,500
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	686
გადახდილი ავანსები	18,396	18,501
საეჭვო ვალების რეზერვი	(79,553)	(79,553)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**375,563**	**195,966**

13. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	143,806	262,148
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,777	50
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	**146,583**	**262,198**

14. მიღებული სესხები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მთლიანი თანხა	საპროცენტო განაკვეთი	დაწყების თარიღი	დამთავრების თარიღი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი						
სს თიბისი ბანკი	800,000	11.0%	19.12.2019	19.11.2026	561,283	704,613
სულ გრძელვადიანი სესხები					**561,283**	**704,613**
მოკლევადიანი						
სს თიბისი ბანკი	60,000	12.5%	22.03.2019	19.03.2020	-	15,694
სს თიბისი ბანკი	30,000	12.5%	03.10.2018	15.10.2019	-	-
სს თიბისი ბანკი	65,000	12.5%	27.08.2018	19.08.2019	-	-
სს თიბისი ბანკი	100,000	11%	13.04.2018	19.04.2019	-	-
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი					90,715	81,076
გადასახადელი პროცენტი					2,583	2,922
სულ მოკლევადიანი სესხები					**93,298**	**99,692**
სულ სესხები					**654,581**	**804,305**

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული გრძელვადიანი სესხის უზრუნველყოფაში ჩადებულია ძირითადი საშუალებები (იხილეთ მე-10 შენიშვნა).

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფულადი ვალდებულებები		
ვალდებულებები მომწოდებლებთან	108,065	25,694
სხვა ვალდებულებები	2,270	147
არაფულადი ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულება	44,480	32,632
მიღებული ავანსები	16,395	6,951
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**171,210**	**65,424**

16. პოტენციური ვალდებულებები

კომპანიას ჩვეული საქმიანობის პროცესში საქმე აქვს სასამართლო სარჩელებსა და პრეტენზიებთან. კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ სარჩელებისა და პრეტენზიების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებზე მაქსიმალური პასუხისმგებლობა არ იქონიებს არსებით გავლენას ფინანსურ მდგომარეობაზე ან კომპანიის მომავალ ოპერაციებზე.

17. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები მსს ფასს-ის მიხედვით წარმოადგენს:

პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

- პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:
    - i. არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
    - ii. აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
    - iii. მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:
    - i. ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
    - ii. ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
    - iii. ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
    - iv. ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

17. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები (გაგრძელება)

v. ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

vi. ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

vii. ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

viii. (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

საერთო კონტროლის ქვეშ **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**	**2020**	**2019**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	1,500
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
შემოსავალი	6,042	15,975

უმაღლესი ხელმძღვანელობა **სრული შემოსავლის ანგარიშგება**	**2020**	**2019**
ხელფასები	85,405	84,350

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, სამშენებლო და სამშენებლო მასალების წარმოების ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანია მიიჩნევს, რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება. თუმცა, ჯერ ნაადრევია ზუსტი პროგნოზის გაკეთება თუ რა გავლენა ექნება კრიზისს მის საქმიანოაბზე. ასევე, განუსაზღვრელია თუ რა დრო დასჭირდება აღნიშნული კრიზისიდან გამოსვლას, თანაც, ასეთი გლობალური სახის ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და კორპორატიულ გამოცდილებას მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს.

კომპანიას არ ჰქონია მაკორექტირებელი ან არამაკორექტირებელი ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც საჭიროებდნენ გაშიფვრას ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „ბრავო 2008“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	5	5,439,917	5,305,076
თვითღირებულება	6	(4,696,194)	(4,531,268)
საერთო მოგება		**743,723**	**773,808**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(319,475)	(383,768)
საოპერაციო მოგება		**424,248**	**390,040**
წმინდა ფინანსური ხარჯი	8	(76,801)	(17,904)
წმინდა სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	9	14,692	47,095
საეჭვო ვალების ხარჯი	12	-	(79,553)
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ხარჯი	10	-	(7,400)
წმინდა საკურსო სხვაობა		-	(411)
მოგება დაბეგვრამდე		**362,139**	**331,867**
მოგების გადასახადი		-	(66,273)
წმინდა მოგება		**362,139**	**265,594**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**362,139**	**265,594**

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2021 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ერეკლე ბუჩუკური
დირექტორი

თბილისი, საქართველო

ირინა ივანიძე
მთავარი ბუღალტერი

თბილისი, საქართველო

9 – 22 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანასური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ბრავო 2008“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	10	1,675,051	1,835,670
		1,675,051	**1,835,670**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11	72,759	90,163
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	375,563	195,966
ფული და ფულის ექვივალენტები	13	146,583	262,198
		594,905	**548,327**
სულ აქტივები		**2,269,956**	**2,383,997**
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	561,283	704,613
		561,283	**704,613**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	171,210	65,424
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	14	93,298	99,692
		264,508	**165,116**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	1	200	200
გაუნაწილებელი მოგება		1,443,965	1,514,068
		1,444,165	**1,514,268**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**2,269,956**	**2,383,997**

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2021 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ერეკლე ბუჩუკური
დირექტორი

ირინა ივანიძე
მთავარი ბუღალტერი

თბილისი, საქართველო

თბილისი, საქართველო

9 – 22 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანასური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ბრავო 2008“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	6,243,770	6,520,110
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(4,706,434)	(4,239,453)
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახრები	(539,401)	(675,690)
გადახდილი გადასახადები	(485,627)	(592,568)
გადახდილი პროცენტი	(81,273)	(17,669)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**431,035**	**994,730**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(53,087)	(408,214)
სადაზღვევო კომპანიისგან ანაზღაურებული ზარალი	690	46,107
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(52,397)**	**(362,107)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
დივიდენდის გადახდა	(349,000)	(1,356,000)
სესხის მიღება	-	860,000
სესხის დაფარვა	(149,386)	(152,161)
მიღებული პროცენტი	4,133	2,225
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	**(494,253)**	**(645,936)**
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა	**(115,615)**	**(13,313)**
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	**262,198**	**275,922**
ფულადი სახსრების სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	-	(411)
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	**146,583**	**262,198**

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2021 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ერეკლე ბუჩუკური
დირექტორი
თბილისი, საქართველო

ირინა ივანიძე
მთავარი ბუღალტერი
თბილისი, საქართველო

9 – 22 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანასური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ბრავო 2008“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	სულ
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**200**	**2,676,406**	**2,676,606**
სრული შემოსავალი	-	265,594	**265,594**
დივიდენდი	-	(1,427,932)	**(1,427,932)**
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**200**	**1,514,068**	**1,514,268**
სრული შემოსავალი	-	362,139	**362,139**
დივიდენდი	-	(432,242)	**(432,242)**
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**200**	**1,443,965**	**1,444,165**

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2021 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ერეკლე ბუჩუკური
დირექტორი

თბილისი, საქართველო

ირინა ივანიძე
მთავარი ბუღალტერი

თბილისი, საქართველო

9 – 22 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.